## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 20

(სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მომსახურების გაწევის შესახებ)

**CPV: 75230000** - სამართლებრივი მომსახურებები

ქ.თბილისი 14 მაისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, *სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლა* (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის **ციალა მახარაძის** სახით და მეორეს მხრივ, *სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"* (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **ბადრი ნიაურის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ტ6" ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 29 მარტის N73\ნ ბრძანების საფუძველზე და სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის 2012 წლის 08 მაისის N17 (N03-1\2069 11.05.2012) წერილის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების ობიექტია მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა, კერძოდ - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განხორციელება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების ჩათვლით (სტატუსი - ხელშეკრულება გაფორმებულია).

2. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით გაწეული მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

### მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თვეში 300 (სამასი) ლარს დღგ-სა და ყველა სხვა გადასახადის ჩათვლით.

### მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

### მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

1.მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2012 წლის 14 მაისიდან 2012 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

2.მომსახურების გაწევის ადგილია - ქ.თბილისი, ალექსიძის N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული.

### მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რაც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.